№ 94 მაისი 4, პარასკევი 1890 მაისი 4, პარასკევი № 94

გაზეთის ფასი

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакцiи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

კვირას, 6 მაისს,
ქართულ თეატრის ბაღში
სათავად-აზნაურო ბანკის (არწრუნისეულ) ქარვასლაში დანიშნულია
## სეირნობა
და
ლატარია-ალეგრი
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება 12 საათზე. სასეირნოდ, გარდა ქარვასლისა, ღია იქნება თეატრი და თეატრის ბაღი. შესასვლელი ბილეთი ღირება 20 კაპ. დაწვრილებით ცნობები აფიშებში იქნება გამოცხადებული.

-ინც ნივთების შემოწირვას ისურვებს „წერა-კითხვის საზოგადოების“ ლატერია-ალეგრისათვის, ვთხოვთ კეთილ-ინებოს და გამოგზავნოს შემოწირულება კნეინა ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძეს სახელობაზე (კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ თ. გრუზინსკისეულის სახლებში).

ტფილისის გუბერნიის მარშალი უმორჩილესად სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა მობრძანდნენ პარასკევს, 11 მაისს, დილით 10 საათზე, საადგილ-მამულო ბანკის სადგურში, საგანგებო კრებაზე, რომელმაც უნდა ამოირჩიოს ორი წარმომადგენელი თავად-აზნაურთა და ორიც მათი კანდიდატი სახელმწიფო საადგილ-მამულო თავად-აზნაურთა ბანკის განყოფილებაში.

## ახალი ამბავი

*** პალატის პროკურორის ამხანაგი ნიკოლოოზ პავლეს ძე სმიტტენი დაინიშნა თ. იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილის მაგიერ პალატის 2-რე დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

*** ამ თთვის 2 ტფილისში ჩამოვიდნენ ყარსიდგან ყარსის ოლქის უფროსი შალუბათოვი და ყარსის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ტომიჩი.

*** ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ ვითომ ევსილ ზიალოვი ქალაქში იმალებაო, და აგერ ერთი კვირაა, რაც პოლიცია გაფაციცებით დაეძებს ბ-ნ ტფილისის პოლიციის უფროსის ბრძანებისამებრო.

*** ტფილისის მეორე კლასიკურის გიმნაზიის დირექტორად, გარდაცვალებულ ა. ი. ლილოვის ალაგას, როგორც ისმის, დანიშნული იქნება ტფილისის პირველ გიმნაზიის ინსპექტორი ი. ფ. დრბოგლავი.

*** როგორც გუშინდელს გაზეთშიაც იყო გამოცხადებული, ჩვენ მივიღეთ რაჭიდგან სოფელ ღების მღვდლის გავაშელიშვილის მიერ 4 მან. განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. იყო დღემდე 647 მ. 7 კ. შესდგა ამიანად 651 მ. 7 კ.

*** გუშინ, 3 მაისს, გაემგზავრა სიღნაღის მაზრაში ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ჩაიკოვსკი, რომელსაც დავალებული აქვს ფიალყური უგდოს კალიის გასაწყვეტად გასულის ხალხის მუშაობას.

*** აქამდე თითქმის სულ ისე იყო, რომ ვისაც რაიმე საქმე ჰქონდა გზათა შესახებ, სველეთისა იქმნებოდა იგი გზა, თუ ხმელეთისა, მიჰმართავდნენ ხოლმე პირდაპირ გზათა სამინისტროს პეტერბურგში. მაგალითებრ, რომელსამე სოფელს, სოფლის საზოგადოებას, ანუ სოფლის კაცს, თავადს, აზნაურს, ანუ მებატონეს და სხვას უნდა იშუამდგომლოს ან გზა-ტკეცილის შესახებ, ან ნავოსნობის გამართვის გამო ზღვაზე და მიჰმართა გზათა სამინისტროს. ამ გვარად საქმე ჭიანურდება და ხანი გადის. ეხლა დეპარტამენტი გზატკეცილებისა და სველეთის გზებისა აცხადებს, რომ ასეთი თხოვნა და არზები შეიძლება პირდაპირ იმ ადგილობრივს მთავრობას მიერთვას, რომლის უწყებაშიაც არის გზაო. ამისთანა საქმეებს ადგილობრივი სანაოსნო და საგზაო მთავრობა დაუყოვნებლივ გაარჩევს და ან ჯეროვანს ნება რთვას მისცემს, ან სამინისტროს გაუგზავნის, თუ საჭიროდ დაინახავსო. თუ საქმე საჩქაროა, ადგილობრივს [illegible] პირდაპირ დეპეშით მოითხოვოს საჭირო ნება-რთვა. თუ ვინმე შუამავლობს რასმე გზის შესახებ და ადგილობრივის მთავრობის განკარგულება ჭკუაში არ მოუვიდა, შეუძლიან პირდაპირ გზათა სამინისტროს მიჰმართოს.

*** ფოთი: საპშაბათს, პირველ მაისობას, ბურთის თამაშობაში გურულებმა გაიმარჯვეს.

*** საჩინო (ქვემო იმერეთი): წრევანდელს წელიწადს სწორედ დაგვნავსა ვილაცამ, თუ რაღაცამ. მოვდივართ და მოვტირით ჩვენს ბედს. არ იქნა, ვერ გავიხირეთ. ჯერ იყო-და, ინფლუენციამ გაქუჟა ხალხი, მერე ყვავილმა და წითელამაც არ დააკლო ხელი. ყვავილი და წითელა აქა-იქ დღესაც „ბრძანდება“ სტუმრად ჩვენსკენ. ამ ჟამად კიდევ რაღაც ერთნაირი ავადმყოფობაა, თუმცა ისე ხშირი არაა, როგორც ინფლუენცია იყო, მაგრამ ვინც გახდა ამ სენით ავად, მეორე მესამე დღეს გამოესალმა წუთი-სოფელს. ეს სენი, როგორც ამბობენ, ფაღარათით და სიცხით ჰკიდებს ხელს. ვინაა პატრონი, რომ ათხოვოს ყური და გამოიკვლიოს, რა სენია ეს სენი?! ნუ თუ მართლა, როგორც ამბობენ, გვყავს, ამისთანა შემთხვევისათვის მაინც, მაზრის ექიმი? ან რა დანიშნულება აქვს ამ ბ-ნ ექიმს? ნუ თუ ქ. ქუთაისის საზღვარს არ უნდა [illegible] მოკლულის გვამის შესამოწმებლად?

*** იქიდამვე: ამ გაზაფხულს მოჰყვა ჩვეულებრივ სხვა-და-სხვა ღლეობა სოფლებში. თქმობა ანუ, როგორც აქაურები ეძახიან, „ჯარიანობა“ ისე არა თავდება, რომ მთვრალებმა ოთხი-ხუთი არ დასჩეხონ ხმალ-ხანჯლით. კეტებითა და ქვებით დაზელილებს ხომ ანგარიში არა აქვს. ქურდბაცაცები თანდათან მრავლდებიან. ჯერ წვრილ-ფეხებს მიჰყვეს ხელი და შემდეგ ხარ-ძროხებიც მიაყოლეს. ამ რამდენსამე დღეში შვიდი სული სხვილ-ფეხი საქონელი მოიპარეს უგზო-უკვლოდ. ერთ პატარა სოფელში

## ფელეტონი

### დაუსრულებელი ამბავი
ანუ
### თელაველი ოტელლო.
დრამა ოთხს მოქმედებად
(შემდეგი*)

#### მესამე მოქმედება
დარჩოს დუქანთან

(სცენა წარმოადგენს ქუჩას, პირდაპირ ფანჩატურიანი დუქანია წარწერით: „Духанъ распивочно и навиносъ. აქ ისყიდება ღვინო და არაყი. დარჩო ვარდუოვი“. დუქანს შუაში აქვს კარები. სტავნებიანია. დუქანში მარცხნივ სჩანს დახლი და თაროები სხვა-და-სხვა სასმელებით. დახლზე საზოგადოების მხრით აწყვია თეფშებით იაფ-ფასიანი დასანაყრებელი საჭმელები. დუქანს აქვს უკანა ოთახი. დუქნის ბოლოში დგას არღანი სკამზე; კარების წინ და ცოტა გვერდით დგას გადაბრუნებული ყუთი, ზედ ლურჯი სუფრა აქვს გადაფარებული და აწყვია ცოტაოდენი საჭმელი, ჩარექით ღვინო და თეფშით ორი სტაქანი, ღვინით სავსე. მარჯვნივ ზის მწვანე-იაგორა, მარცხნივ დარჩო სკამებზე. კვირა დღეა. მარჯვენა მხრით შორიდამ მოისმის კრივის ღრიანცელი).

#### გამოსვლა I
დარჩო, იაგორა და კაკულა დუქნის წინწინაშია.

დარჩო (აიწევს და პირდაპირ იყურება). როგორ შედგნენ ერთ ადგილას?

იაგორა (უკან იხედება) კაპლოა ჩაერია კრივში?

დარჩო. რო ჩარეოდა, ძველ-გალავნელები მაწანწარას არ იქნებოდნენ? (უცებ წამოიწევს) აგე, კაპლოა დუქნიდამ გამოვიდა! (იაგორა ადგება და კრივისაკენ მიბრუნდება) ეხლა უყურე ძველ-გალავნელების სეირს!

იაგორა. შენი ჭირიმე, რა ზორბაა! დახე, დახე, შეერია! ახ, შენი სულისა! დაგა მაგ ბებერ თავებს!

დარჩო. ცუდი დღე დაადგებათ ძველ-გალავნელებს!

იაგორა. გაიფანტნენ! ვერ უდგებიან, უყურე! თქვენი ჭირიმეთ, თელაველებო! დაგათ, დაგათ! აი შენი სულისა! (კრივის ხმა თანდათან სუსტდება და ბოლოს სწყდება).

დარჩო. გარბიან, გარბიან! ლეჩაქები დაიხურეთ, ლეჩაქები! როგორ შაუტიეს! დაგა, მაგათი ბრალია!

იაგორა. (მობრუნდება) როგორ გაიფანტნენ-და! ეხლა პატარა საყდარს გააცილებდნენ! (დაჯდება)

დარჩო. (დაჯდება) ძველ-გალავნელებს საქმე ცუდად მიუდით, ყოველ კვირა თავ-პირს ვამტვრევთ!

იაგორა. ეგ შარლატანი კაპლოა ძალიანა კრიობს.

დარჩო. დათვია, სწორედ დათვი! რაც ვანომ კრივს თავი დაანება, კაპლოა პირველი მოკრივეა თელავში.

იაგორა. რომელი ვანო? კაცობიდამ ჩამოვარდნილი?

დარჩო. ვაქაცს რა უჭირს, რას ამბობ? მაგისთანა მუშტის დარტყმა ერთმა არ იცის.

იაგორა. რას ამბობ? ეგ ვირის ბლარტი კაპლოას ერთ ლუკმადაც არ ეყოფა.

დარჩო. ზამთარი აღარ გახსოვს, როგორ გვიმწარებდა ხოლმე კვირა დღეს? ყეენობის ორშაბათი? ერთიც არავინ დაუდგა! მოდიოდა ვანო და მოსდევდნენ ძველ-გალავნელები. გახსოვს როგორ მოსდო ფერდში კაპლოს და გული შაუღონდა? ნადიკვრამდისინ სულ კუდით ქვა გვასროლინა. აღარ გახსოვს? აი მაშინ, პრისტავსაც რო ქვით თავი გაუტეხეს!

იაგორა. იმისი შნო იყო? კაპლოას გული შეუღონდა, თორემ ძველ-გალავნელები რიყეს გამოსცილდებოდნენ?

დარჩო. რას ამობ? რომელი კვირა არ ჩაგვაშხამა? გუნებაზე რო იყოს, დღესაც არ აგვცდებოდა ნადიკვარზე გასეირნება! ძაან მაგარი ბიჭია! კაპლოსავით ზორბა არ არი, მაგრამ კირკიტია, კირკიტი!

იაგორა. დაიკარგოს კარზე მიგდებული! იქნება კაპლოას ძმაც იყოს? (ჩაიცინებს)

დარჩო. რათ ამბობ მაგას ვანოზე? მაგისთანა სინიდისიანი ბიჭი თელავში არ არი.

იაგორა. განა არ ვიცი, რომ სულს არავის დაუჭერს. ჰო-და სული ხომ ცოლზე ტკბილია!

დარჩო. ნუ ამბობ მაგას, იაგორ, მე ძალიანა მწყინს, ჩემი კარგი ძმაბიჭია. ყველანი ცოდვის შვილნი ვართ. ვინ იცის ეხლა, მართალია, რახაც ამბობენ? თელაველებს ხო ბევრი არ დაეჯერებათ!

იაგორა (წყენით) დარჩო, იმ ყურუმსაღს ექომაგები? ქუჩაში ვერ გაუვლია, ყველგან სიმღერას ჩასჩხავიან ყურში. მერე ის რაზბოინიკი კავკავეელი, თავის სულის მოაახლერეც, რო სულ გვერდთა ჰყავს! ღამე ხო ისე ახლოა, რო ერთი ხაბიჯი ეყოფა! ჰი, ჰი, ჰი! (იცინის)

დარჩო (იყით). ე რა მუტრუკი ვინმეა! მოეშორდე აქ! (წამოიწევს) იაგორ, ცოტა მოითმინე, წავალ წვადს ავაგებ, ცეცხლს დაუდებ.

იაგორა. რად გინდა, კაცო? კაკულას უთხარ, ემანდ!

დარჩო. არა, ეხლავე იქნება. (გადის დუქნის უკანა ოთახში)

იაგორა (მარტო) ვანო, რო იცოდე, როგორ მიხარიან შენი ამბავი! შენა გგონია, ის მერცხალი შეგრჩებოდა? რატო მენ თითონ არ მეჩხუბე, რო ციხეში ჩამესმეინე! მაგრამ ისეც არა გიჭირს-რა, როგორც გახდი ჯავრისაგან! ყოჩაღ, ნუშკოჯან, ძალიან შემიყვარდი, ყარაჩოხალი ქალი ხარ! მე რო ვცადო, არ შემიყვარებს! ეჰ! (ხელს დაიქნევს) მაკამ რო გამიგოს, სულ ბუწუწებით მათრევს? დეე, ახალგაზდებმა გაიხარონ! არავისი მშურს, მაგ ქალის ყაჩაღის მეტისა. მაგისთანა ლამაზი გოგონა და იმ მოთრეულ ჰარამზადის ხელში? სად არი ღმერთი? არტეძ, მინდა ერთი შენი ჯავრიც ამოვიყარო! საქვეყნოდ ქუჩაში, შიგ შუა ბაზარში მცემა! ვაჰ, დედაჩემო! მაშ შენი ჯავრი შავირჩინო? მაგრამ რა უყო? კიდევ ვაცემინო თავი და შტრაფი წავაგლიჯო? ბევრი ფული აქვს! ამბობს, თელავში დუქანს ვაღებო. ვნახოთ რა მოგება ექნება!

დარჩო. (გამოდის) მწვადი ეხლავ იქნება. (დაჯდება) ხო კიდევ არა მტრობ არტემას? ამ საათში ის რიყის პირშია და ვანოს ელაპარაკება.

იაგორა. მაშ იმ ბიაბრობას შავარჩენ? განა ერევნელი კრო ვარ, აბიდა ვისმე შავარჩინო?

დარჩო. მოდი, რაც იყოს-იყოს, მაგარიგებთ, იქნება აქეთ გამაიაროს, ხელათ ერთი ხელადა შენ ჩამოასხმევინე, მეორე იმან და შუაკაცი მე ვიქნები.

იგორა. (აშფოთებით) ჰა, ემანდ ღმერთი არ გაგიწყრეს და არ უთხრა, თუ მე იმ მგელთან შერიგება მინდა! რო კვდებოდეს, ზიარებას არ მივაწვდი!

დარჩო. კარგი, კარგი, ნუ გაჯავრდები!

იაგორა. ცუდი ხუმრობა გცოდნია. მჭედელ კულას შვილს ხელი გაუწოდო?

დარჩო. კულას რა უჭირდა, იაგორ? მტრობით ამბობ მაგას, ვანოსი არ იყოს.

იაგორა. ვანოსი ხო რაღა ეთქვა, ძთელ მაგათ გვარში (თვალს უზამს) ნუშოს მეტი არავინ ვარგა. ტყვილია?

*) იხ. „ივერია“ №№ 86, 87, 88, 89, 90 და 93.

ერთ საწყალს, ულარიბესს გლეხს ერთი ძროხა და ერთი ხარი მოჰპარეს, რომელსაც იმას გარდა და თითქმის ერთის ქოხის მეტი აღარაფერი არ გააჩნდა. ბოროტ-მოქმედებს ხსენებულის საწყალის გლეხის საქონელი ორის ვერსის მანძილზედ წაეყვანათ და იქ დაეკლათ. ტყავები და თავ-ფეხი დაეტოვებინათ და მარტო ხორცი წაეღოთ. სწორედ სავალალო სანახავი იყო საწყალი გლეხი ასეთის უბედურების შემდეგ. ვფიქრობთ, რომ ეს საქონლის ქურდობა დღეობების მიზეზი უნდა იყოს. ერთის სოფლის გარდა, ახლო-მახლო თითქმის ყველგან იციან დღეობები. აქაც იციდნენ, მაგრამ გადააგდეს ამ ორის წლის წინად. იკარგება საქონელი მარტო ამ სოფლიდგან, თითქოს ჯიბრზედ ეპყრობიან, რისთვის გადააგდეთ დღეობაო. სასურველი კია, რომ ყოველი უსარგებლო და მაზარალებელი ჩვეულება გადაგვევდოს და ნაცვლად სასარგებლო და საქებარი ჩვეულება შემოგვეღოს.

*** 1 მაისამდის გაზ. „Кавказъ“-ის გამომცემლობა უთხოვნიათ: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ნ. ა. შავროვს, კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის მთავარ-რედაქტორს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ნ. კ. ზეიდლიცს, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელს ტფილისის რეალურ სასწავლებელში თ. ვ. ს. მიქელაძეს, თავადს დ. გ. ერისთავს, მთავარ-მართებლის საგანგებო მინდობილებას ჩინოვნიკს მე-VII კლასისას კოლლეჟსკი სოვეტნიკს პ. ი. შლეიფერს, ნაფიც ვექილებს: პ. ა. ოპოჩინინს, ა. ს. ფრანკელს და ვ. ა. სლეფციკოვს, სახალხო სკოლების ინსპექტორს გრენს, რუსულის სიტყვიერების მასწავლებელს ტფილისის მეორე გიმნაზიაში სლოვინსკის, კერძო ვექილს ფ. ი. ტხორჟევსკის, „Кутаисскія Губернскія Вѣдомости“-ს რედაქტორად ნამყოფს ბ ნ ბოჩკარევს, ბ-ნ ჩიქოვს, «Кавказъ»-ის ეხლანდელს რედაქტორ-გამომცემელს მ. მ. ტებენკოვსა და სხვათაც.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ მოსკოვიდგან: 15 აპრილს აქაური სომხები შეიკრიბნენ სომხების ეკლესიის შენობაში და პროფესორ ბ-ნ ხალათოვის თავმჯდომარეობით ჰქონდათ ბჭობა, თუ ოც-და-ხუთის წლის მოღვაწეობის დღესასწაულის დროს რანაირად უნდა ესცეთ პატივი გ. ი. არწრუნსაო. ხანგრძლივს ლაპარაკს შემდეგ გადასწყვიტეს, რომ ადრესის გაგზავნის გარდა ფულიც გაუგზავნონ საჩუქრად, და იქვე გამართეს ხელის მოწერა. არავინ არ დაიზარა თავის წვლილის შეტანა და ქაღალდი ერთს წუთას სული ერთიანად გაჭრელდა ხელის-მომწერელთა გვარებით. ძმათა ჯამბაროვების სახლმა შესწირა ათასი მანათი. გვგონია, სულ ხელის მოწერით ხუთას თუმანზე ნაკლები არ შესდგეს.

*** ქუთაისი: 29 აპრილს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა სამსონ ბესარიონის ძის თოფურიას მიერ გახსნილი სამკურნალო ქუთაისში. წირვის შემდეგ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა თანამწირველ სამღვდელოებითურთ წაბძანებულა სამკურნალოში, სადაც დიდ-ძალი ხალხი ყოფილა თავ-მოყრილი. პარაკლისის გადახდის შემდეგ ყოვლად სამღვდელოს უქადაგნია, რომ პატივისა და ქების ღირსია აძ კეთილისა და სასარგებლოს საქმის დამწყები კაცი და ჩვენ შორის ვისაც ხმენია სახარების სიტყვები: «სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე», არ დაიშურებს და შეძლებისადა გვარად დაეხმარება სამკურნალოსაო («მწყემსი»).

*** მაისის პირველს, დილის 9 საათზე, პოლიციის მეოთხე ნაწილში, ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, დედათა ინსტიტუტის ახალს შენობაში თავის გაუფრთხილებლობით გადმოვარდა რვა საჟენის სიმაღლიდგან იქ მომუშავე სპარსეთის ქვეშევრდომი მამედ-უსეინ-აბუ-ტალიბ-ოღლი, რომელიც ისე ძლიერ დაშავდა, რომ მეორე დღესვე გარდაიცვალა.

*** მაისის 2, პოლიციის პირველს ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, ქვრივის ეგოროვის სახლის შესავალ კარებთან იპოვნეს ერთის თთვის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავე რიცხვს, დილის 9 საათზე, პოლიციის მეცხრე ნაწილში, ახალ-არსენალის ქუჩაზე კანცელარიის მოხელემ ნადვორნი სოვეტნიკის შვილმა მიხეილ სერაპიონის ძემ რაჩინსკიმ ტფილისის მცხოვრებლის ალექსი ივანეს ძის სუხატინის მონაწილეობით მოიპარა თავის მამინაცვლის დანიელ სტეფანის ძის მეგრინოვის ეზოდგან ხუთ მანათად ღირებული ხბო და მიჰყიდა ყასაბს გრიქუროვს 2 მანათად. ხბო წაართვეს მყიდველს და პატრონს დაუბრუნეს. ქურდები შეიპყრეს, ოქმი შეუდგინეს და გამომძიებელს გადასცეს.

◆◆

## ნამცეც-ქუცმაცი

მე დღეს ფეხდაფეხ ბედზედ მიხდა მოლაპარაკე მეითხველებს, იმ ბედზედ, რომელიც თვალებ-ახვეულის დედაკაცივით მიადგება ადამიანს კარებზედ და წინ დაუხუჩქებს. აი სწორედ ამისთანა ბედზედ აგებულ-აშენებული მთავრობის მიერ გამოცემული პირველი და მეორე მიხაგრის სესხის ბილეთები და აგრეთვე მარ ძახეღლი მესამეც. რუსეთის უკან მაღალი საქართველოს სულ ერთიან მიჰარდნილი და მიყრუებული კუთხეც-კი წელიწადში ოთხჯერ, და ეხლა კი ეგოსი ექვსჯერაც, მოძრაობასა და ფაცურში მოდა ხოლმე, აღიჭურვება სათვალებებით, თუ თვალი არ უჭრის, და სინჩქავს იმ ყოვლად მნიშვნელობიანს სიას რიცხვებისას, რომელთა მეტ-ნაკლებობაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი და უბედობა, სიღარიბე და სიმდიდრე, ზრუნვა და უზრუნველობა. ეს რიცხვები ნომრებია იმ მომგები ბილეთისა, რომელთა მეოხებითაც დღეს უბადრუკი ხვალ ერთიან აშენებულა, გამდიდრებულა, ჯიბე გასქელებია, დიპი გამოუგდია, სამ გეცი ღაბაბი ჩამოუშვია და, ლუარსაბ თათქარიძესავით, ხორითა-ბოხახით ყელს მოყირჭებულს, ტახტზედ ხან აღმა და ხან დაღმა კოტრიალის მეტი არა უკეთებია რა.

ამ მომგებ ბილეთის პატრონს, ვიდრე თავისის ბედის ჩოსა და არას გაიგებდეს, წინა დღითვე ძილი უფრთხება, ცხელებიანსავით აბოდებს და ოცხება ბარათაშვილის მერანსავით გაშმაგებული უქრის, არც აღმართს დაეძებს, არც დაღმართსა და არც უდაღმართს, არც კლდოვანსა და არც უკლდოვანოს, არც ღრანტე-ხევსა და არც უღრანტე-ხევოს, მთა და ბარი სწორად უჩანს და როგორც ხელის გულზედ დაგორებულს ბურის მარცვალს არა უჭირს-რა, ისე იმას არა ეფიქრება-რა, არა ეხრუშება-რა, ოღონდ კი...

აი სწორედ ეს ოღონდ-კია, დასაწყისი ქმნილისა, თავი და ბოლო, ანი და ჰოე, ქვაკუთხედი იმ საქმისა, რომლისთვისაც გულიც უქრის ბილეთის პატრონს და გონებაც, აქ არის დაფულული ძაღლი, გამოსავალისა აქ იყოს, ეს არის შფოთისა და მოურიგებლობის ვაშლი, ვაშლი, რომლის ერთი გულიანი კბეჩა ნეტარების ნექტარად დაგიღვრის ძარღვებში და იმ ჯიბეს, რომელშიაც თაგვებს სრთურამ და მიჯგა-მდგაუ ჭრიჭინათ გამართული, სულ ყვითელ ბაჯაღლოებით გამოგიჭედავს. აი ამისთანას ვაშლი გაჭკვიანა ახალციხელ ებრაელმა ისხაკა გორელიშვილმაც. საბრალო ისხაკ იყო თავისთვის, ივაჭრა ორიოდე გროშს, აცხოვრებდა ახალციხეში მეოთ ცოლ-შვილს, ხშირად გაუჭირდებოდა ხოლმე, ხშირად ორიოდე გროშიც მოუმატებოდა და კარგს გუნებაზედ დააყენებდა. მაინც-კი ყოველთვის მშვიდად ჰგრძნობდა თავს, არხეინად, გულს არა უწუხებდა-რა. მაგრამ აგერ დაუჩრდა ბრმა ბედმა, საბრალო ისხაკას გული წასულა თურმე, ყურები უწივს, ხელები უზიდეს, კრიჭა დანის პირით გაუხსნეს, ძმარი და წყალი ასხეს და რის წვალებით მოიყვანეს გონებაზედ. როცა ჰკითხეს, რას უზამ ახლა მაგდენს ფულსაო, გაოცდა თურმე პირი დაადო და პირველში დარეტიანებულს არ იცოდა რა ეპასუხნა: რა ვიცი, მე თითონაც არ ვიციო. ბოლოს-კი ეთქვა, რომ ხუთი ათას თუმანს ებრაელთა სასარგებლოდ შევწირავ, დანარჩენის ფულით კი იერუსალიმში წავალ და იქ დავსახლდებიო. საზოგადოდ ეტყობოდა, რომ ძალიან გაჭირებაში ჩააგდო ამ უეცარს გამდიდრებას, ჰგრძნობდა, რომ ეს წყეული და მოჯადოებული ოცი ათასი თუმანი, რომელიც მოულოდნელად დაეცა თავს, სულ ერთიან აშლის და დაშლის, ერთიან აძაგრიალებს და ჩემს წყნარსა და მშვიდს ცხოვრებას ბოლოს მოუღებსო. ეხლაც დადის თავ-ჩაქინდრული ისხაკა და იმის გარჩევა-გამოკვლევაშია, ბედნიერებაა ასე უეცრად თავს დაცემული და ადამიანის დამარეტიანებელი სიმდიდრე, თუ უბედურებაო?

საზოგადოდ-კი ჩვენი ტფილისი ამ ოცის ათასის თუმნის რგებით ძალიან ბედნიერი ქალაქია: ეს მესამედ თუ მეოთხედ ბრმა ფორტუნა საქართველოსკენ გამოაქანებს ხოლმე ამ გემრიელს ლუკმას. ამას წინად, როგორც მეითხველებსაც ახსოვთ, ქ-ნს ვარლამოვს ერგო და წრეულს ხომ ისხაკა გორელიშვილმა გამოაცალა ათი ათასობით მოხატულ ეს ფული და ხახა-გამომშრალებს დასტოვა ყველანი.

**

მეორე ბრძოლაში-კი ვინ გაიმარჯვებს, ვის არგუნებს ბედი გემრიელს ლუკმას და ვინ გაიტანს ღელოს, სწორედ ძნე-

---

აგერ, მოდიან კიდეც. ნუშოს ცოტა ხორცი დააკლდა, მაგრამ არა უჭირს-რა.

### გამოსვლა II

იგინივე, კეკა და ნუშო

გამოდიან მარცხენა მხრიდგან წინ ნუშო და უკან კეკა ჭოლგებით ხელში. იაგორასა და დარჩოს გაუსწორდებიან.

იაგორა. აი თელავის მაცხონებელი!

კეკა. (მიუბრუნდება) ხმა გაიწყვიტე, თორემ ამ ჭოლგას თავზე დაგამტვრევ, შე მწვანე, შე მეჯლანე, შე წუწკო! რატო ენა მუცელში არ ჩაგივარდება, რატო შხამიანი გველი არ გაგიჩნდება გვამში და გულ-ღვიძლს არ შაგიჭამს, შე უდღეოდ ნაშობო, შე ქურდ-ბაცაცას ჯილაგისავ!

ნუშო. (ხელსა სჭიდებს) წამო, დედი, წავიდეთ, ნუ ელაპარაკები მაგას.

კეკა. აი მეხი-კი დაგაყარე მაგ მწვანე თავზე, შე ქვეყნის გლახავ! კიდე გინდა, რო დაგბეგონ?

იაგორა. შაგეინდე, დედი, დღეს კვირაა, შაბათს ჩამაიარე!

დარჩო. სირცხვილია, იაგორ! (კეკას) გაიარე, თუ ღმერთი გწამს, ხალხი არ შაიყაროს.

ნუშო. (მწუხარებით) წავიდეთ, დედი, შენი ჭირიმე!

კეკა. (მისდევს ნუშოს და უკან იხედება) აი მოუკვდა შენ პატრონს, მოუკვდი უზიარებლივ! (გავლენ)

### გამოსვლა III

იაგორა და დარჩო

იაგორა. (კითომ ჰვარდება) აი, მოვკვდი, მოვკვდი! (იცინის) კეკუცი, მაიხედე, მაიხედე, ლობიო გცვივა!

დარჩო. რა გახდა, კაცო, რას ჩასციებიხარ. გინდა ვანომ ერთი რამ აგიტეხოს?

იაგორა. ჰო, მე ვიცი, ყურებზე ხახვი არ დამაჭრას, იმის ოჯახის დაქცევამ!

დარჩო. შენი ნებაა. ნახამ, თუ ერთი რამ...

იაგორა. რას მიზამს? რევოლვერი სულ ჯიბეში მაქვს, აი (ჯიბეზე ხელს დაიკრავს).

### გამოსვლა IV

იგინივე, თოროზა, ჭურკალა და უღლა-ბაბა

მარცხენა მხრით შემოდიან ახალუხანი და უქუდოები

თოროზა. იაგორ, ნუ მაშინებ, თავათ გულის ფრიალი მაქვს დაჩემებული!

ჭურკალა და უღლა-ბაბა. იაგორ, ჰა! აძანდ არ გაგივარდეს, ძალიან მეშინიან!

თოროზა. არა, ერთი ეგ ეშმაკის მაშინა მაჩვენე.

იაგორა. მომწყდით თავიდამ, კინტო ბიჭ-ბუჭებო!

უღლი-ბაბა. ურია სოვდაგარს რას ველაპარაკებით? წამო ჩვენც ჩავერიოთ! (ნახევრად გვერდს შემოუბრუნებს იაგორა ამათ)

დარჩო. რას დაიგვიანეთ? რო გენახოთ, როგორ შაუტია კაპლოძ! ეხლა მაწანწარას იქნებიან.

ჭურკალა. წამოდით, ჩვენც უშველოთ ძველ-გალავნელებს ვარდისუბანში გადაახლება.

უღლი-ბაბა. ვანოცა კრიობს?

დარჩო. არა. ის რო კრიობდეს, ეხლა ნადიკვარზე არ ვიქნებოდით!

თოროზა. მაშ, ძმანო, ეხლა ჩვენებს არა უჭირთ-რა. შევიდეთ რასპივაჩნაში და რასპივაჩნა ვქნათ, ქალაქელისა არ იყოს.

ჭურკალა და უღლი-ბაბა. შავიდეთ, შავიდეთ! (მიდიან).

დარჩო. კაკულ, მიართვი, რაცა ჰნებავდეთ.

თოროზა. რაცა გვნებავდეს? მაშ, კაკულ, მამართვი მწვანე-იაგორა ტაბაკად!

ჭურკალა. არა, თოროზ, ჩახოხბილი სჯობს, მსუქანია!

უღლი-ბაბა. მე ცივად მირჩევნია. კაკულ, კუჭი ძალიან მიყვარს, კარგად გამოწვალი, სუნი არ შერჩეს!

იაგორა. აი, თქვე ვირებო, თქვე ვირებო! (მეორე გვერდს მიუბრუნებს. სამნივე ხარხარებენ)

თოროზა. ჩქარა, იაგორას სადღეგრძელო? კაკულ, ხელადა ჩემის ზერის წითელი ღვინო! (კაკულას მოაქვს ხელადა და სამი სტაქანი თეფშით. დახლზე სდგამს და ავსებს სტაქნებს).

დარჩო. ნუ ხართ ყბედები. (იაგორა ადგება და ზურგს შეუბრუნებს გაჯავრებით).

თოროზა. მაართვით. მაართვი ასე გონია წინანდელი ჩვენი იყოს? აილეთ! (აიღებენ სამნივე) ეს, ბიჭებო, თელაველების გამარჯვებისა იყოს და მწვანე იაგორას დამხობისა! იაგორ, ალავერდი შენთან!

ჭურკალა და უღლი-ბაბა. ამინ, ამინ! (სვამენ)

იაგორა. ხმა გაიკმინდე, შე ლაწირაკო! რა გელაპარაკოთ კინტოებს! (სარქაროთ გადის მარჯვნივ)

თოროზა, ჭურკალა და უღლი-ბაბა. (მისძახიან) ერთი სამი კაპიკისა გვაცემინე! შაურს მოგცემთ, ჰა!

### გამოსვლა V

(დარჩო, კაკულა, თოროზა, ჭურკალა, უღლი-ბაბა).

თოროზა. (დარჩოს) მაგას ღვინოს როგორ ასმევ? ვანოს ჯავრს მაგას შაეარჩენთ? კაცი მაიდნო ზეზეულად, ეგ-ეგ ეშმაკის კერძი!

ჭურკალა. მოსაკლავია ეგ თავლაფ დასხმული!

უღლი-ბაბა. დანით დასაკლავია.

დარჩო. ეჰ, რას იზამ, ბიჭო, მუშტარია! მაინც ხო ცოფი არა სდის პირიდამ.

თოროზა. ეჰ, სალაპარაკოდ არა ღირს! აბა ერთი, კაკულ, ეგ ნოეს კიდობანი მომართე! (კაკულა „გაიმედდას“ უკრავს) ჰაი, ჰაი, კაკულა ქეიფობს!

ჭურკალა. (აჰყვება) ვაიმე, დედავ, მეშინიან, ვაი, ვაი!..

უღლი-ბაბა. (პირზე ხელს აფარებს) ჰკვაზე მოდი, რეებსა მღერი? შენც მწვანე იაგორას კერძი ხარ?

თოროზა. ეეეე, მაგისთანები არ იყოს!

ჭურკალა (შერცხვენილი) მე ქალაქური უნდა მეთქო. განა ისე ღმერთი გამიწყრა, რო ვანო ცუდად ვახსენო! მოდით, იმის სადღეგრძელო დავლიოთ. სმა არ უყვარს, მაგრამ მაგისთანა ძმა-ბიჭი ცალი არ მაიძებნება თელავში!

თოროზა. მაშ! მაშ!

უღლი-ბაბა. დავლიოთ! დარჩო, აიღე სტაქანი, ვანოს სადღეგრძელოა.

დარჩო. რაა? არ მესმის! კაკულ, დააყე არღანი! (კაკულა დააყენებს) რა თქვით?

თოროზა. სტაქანი მაიტა, ვანოს სადღეგრძელოა-მეთქი! (დარჩო გაუშვერს სტაქანს, თოროზა უსხამს) ეს ღმერთმა აცოცხლოს ვანო სახლობით, ამოაგდოს იაგორას ოჯახი და ცეცხლი მოედოს იმის სახლ-კარს, რომელმაც ვანოზე ცუდი თქოს!

ყველანი. ამინ, ამინ! (სვამენ. მოისმის შორიდგან გრიგის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდება. ყველანი ყურს ათხოვებენ)

დარჩო (აშფოთებით) უთუოდ ჩვენებს ერეკებიან! (ხმა ძლიერდება) უყურეთ, ბიჭებო! (სამნივ გამოცვივდებიან დუქნიდგან) ჰა, ნუ დგეხართ!

თოროზა. ვაიმე, ვაიმე! გოგრაქამიაა!

ჭურკალა. შენი ღმერთი ვჭამე! გოგრა-ქამიაა! (დაჰყვირიან ჭიქებს და გარბიან მარჯვნივ)

უღლი-ბაბა. გოგრა-ქამიაა! გოგრაქამია ერეკება!

ან. ბენაშვილი

(შემდეგი იქნება)

ლი სათქმელია. ეს გემილი ლუკმა, როგორც მოგეხსენებათ, ბ. „კავკაზია“, რომელსაც ოცი ათას მანათამდე ნაღდი შემოსავალი შემოაქვს ყოველ წლივ და ბედი კიდევ მთავარ-მართლის კანცელარია, ვინაიდგან ამ კანცელარიამ აღარეთვე გამოაცხადა, რომ პირველ მაისამდე შემოიტანეთ თხოვნა ზეთის ალების სურვილისა და არჩევანიი ჩვენზედ უნდა იყოს მოგდებულიო. და აგერ შეიყარნენ ამ ბრძოლის ასპარეზზედ ორი თავადი, ორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, ერთი კოლეჟსკი სეკრეტარი, ოთხი ვექილი, სამი მოხელე, სამი მასწავლებელი, სამი ნარეჟქტორალი და, ასე წარმოიდგინეთ, ერთი „ტრულიალის“ მომღერალი და ერთი „ტელეგრაფისტად“ ნამყოფიც-კი. დიაღ, ქვეყნის ყოველ კუთხიდგან, მაშრიყითა ა მაღრიბით

შემოკრბა თხა და კანარი,
ქურციკი მაღლა მხტომელი...

და ვნახოთ ვის გაუღიმებს ო ლ ო ნ დ ო, ვინ ამოუდგება მხარს ბედნიერებით უმცროს ძმად ახალციხელს ისაკა გორელიშვილს!..

ლუმელ

---

## კიდევ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა, ანუ სოფლის ბანკების გამო.

«ივერიის» მეთაურს წერილში, მე-20 №-ში, იყო აწერილი დაარსება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა სოფლებში ამიერ და მიერ საქართველოისა, დამხობა ზოგისა და უთავბოლო მოქმედება სხვათა თითოოროლასი. სულ მთავრობისაგან ყოფილა დამტკიცებული ოც-და-თექვსმეტი წესდება და ამ რიცხვში სამს არც-კი დაუწყია მოქმედება, ოც-დაცამეტს-კი უმოქმედნია რის ყოფითა და ვაი-ვაგლახით. ავტორი ამ წერილისა კითხულობს მიზეზს ამ ბანკების შეუთვისებლობისას გლეხკაცობის მიერ და მიზეზს მათის დამხობისას. გარდა იმისა, რომ მომზადებული მწარმოებლები არა ჰყავდათ ბანკებს, უსათუოდ ისეთი რამ სენიცექმნებოდათ, რომელმაც ნელ-ნელა ღრღნა და შემდეგ ბოლო მოუღოო. ავტორი გვთხოვს ამასთანავე ვსთქვათ ჩვენი აზრი ყველამ, ვინც-კი ამ საქმეს ადგილობრივ კარგად დაჰკვირვებია, და ვაცნობოთ მკითხველს საზოგადოებას გლეხ-კაცების აზრიცა და მიზეზი იმისიც, თუ რატომ ვერ შეითვისა ასეთი დაწესებულება სოფელმა.

ზემოხსენებულ ოც-და-თექვსმეტს ამხანაგობაში მე დაახლოვებით ვიცნობ და ადგილობრივ თვალიც მიდევნებია სიღნაღის მაზრის სოფელ კარდანახის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისათვის, რომელსაც დღეს დუქან-ბაზარი უკვე აკრეფილი აქვს, ანუ, მდაბიურად რომ ვსთქვათ, უკვე სული აღარ უდგია.

ამ ამხანაგობის დაარსებას, მოქმედებასა და დამხობას დაწვრილებით გიამბობთ და, მგონია, ზოგიერთი საინტერესო გარემოება ამ საქმისა ნათლად გამოჩნდეს. აზრი ამხანაგობის დაარსებისა იყო განსვენებულის თ. ილია ვაჩნაძესი, რომელიც კარგად ჰგრძნობდა ხალხის საჭიროებას. განსვენებულმა მოაწერინა სამის სოფლის თავად-აზნაურობას წესდებაზე ხელი, რომ ფულს შემოიტანთ ამხანაგობის დასაარსებლადაო, და გაჰგზავნა თხოვნა მთავრობასთან დასამტკიცებლად. გლეხ-კაცობას ბევრი ელაპარაკა, ამხანაგებად შემოდით თქვენც ამ საქმეშიო, მაგრამ ვერ დაიყოლია; ეშინოდათ, არა გამოვა-რაო. მთავრობისაგან დამტკიცდა თუ არა წესდებულება, თ. ი. ვაჩნაძე გარდაიცვალა. თანხმად დამტკიცებულ წესდებისა დამაარსებლებმა შემოიტანეს ფული, სამის თუმნიდგან დაწყებული, ვისაც რამდენი უნდოდა. შემოტანილის ფულის რაოდენობისა დაგვარად დამაარსებელს შეეძლო გაეტანა უთავდებოდ ერთ-ნახევრად და ერთის თავდებით ერთი-ორად მეტი იმაზე, რაც შემოეტანა. გაიმართა ეს საქმე სოფელ კარდენახის იმ სასახლეში, რომელიც დღეს გრაფ შერემეტიევისაა და მაშინ ამატუნისა იყო. შემდეგ ამისა ამოირჩიეს მწარმოებლები და თავმჯდომარედ, გამგედ მთელის ამხანაგობისა დანიშნეს ხანში შესული, დარბაისელი, მოქალაქეობით სავსე, კარგი მიმღები და დამხვედრი კაცი. ეს ამორჩეული კაცი, რომელსაც მიან დეს კასსა და მთელი ბედი და იღბალი ამხანაგობისა, რამდენადაც სწორედ დარბაისელია და სხვა საქმეებში გამოცდილი, იმდენად მოუმზადებელი იყო ამ საქმისათვის. მოუმზადებლად საქმის შეჭიდება ძალიან ძნელია. იმ ჟამად ამატუნის სახლში იმყოფებოდა ვ. შანშიევი და იმის დახმარებით საქმე ამხანაგობისა მშვენიერად მიდიოდა. წესდებას მტკიცედ ადგა და ზედ-მიწევნით ასრულებდა ამხანაგობა და მისი გამგეობა. გლეხკაცობა პირველ ხანში ახლო არ ეკარებოდა ამ საქმეს. ისინი ამბობდნენ: „ღმერთმა დაგვიფაროს ბანკის ფულისა და სახელმწიფო ფულისაგანაო“. შემდეგ, როცა კარგა დაუკვირდნენ და მიხვდნენ, რომ ამხანაგობა ძალიან სასარგებლოა და გაჭირების დროს გამოსაყენებელია, მცირე სარგებლით კაცი ხელს გაიმართავსო, მაშინ დაუახლოვდნენ, დაიწყეს ამხანაგებად შემოსვლად შემოტანა საწევრო ფულისა, ვისაც რამდენი შეეძლო. სესხიც, რასაკვირველია, გაჰქონდათ თანხმად ამხანაგობის წესდებისა.

ერთის სიტყვით, ისეთი სასიამოვნო დასაწყისი ჰქონდა ამ ამხანაგობას, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა. ძალიან შეითვისა გლეხ-კაცობამ, შეიყვარა და შეიტკბო კიდეც. ამბობდნენ: კაცო, თუმანში სარგებელს ხუთ ჩაფ ღვინოს ვაძლევდით ვაჭარ ხალხს და აქედგან გაჭირებაში თუმანი სამ შაურად მიგვაქვსო. დატრიალდა ჩარხი ამხანაგობისა, ზოგს გაჰქონდა სესხი, ზოგს მოჰქონდა. ამ გვარად სწრაფად მატულობდა და იზრდებოდა თანხა. ამ გვარმა მოქმედებამ იმისთანა იმედი დაჰბადა ყველას გულში, რომ მომავალში სწორედ ამ ხნისათვის მოელოდნენ: რამდენიმე ათასი თუმანი გვექნება სატრიალებლადაო. სწორედ კარგს დროსაც მოესწრებოდა ასეთი თანხა გაზრდილს, ხელ-ღონიერსა და ფეხ-გადგმულს საქმეს, მაგრამ როდის გაუღიმნია სოფლის ბედს, რომ მაშინ გაეღიმნა!

გავიდა წელიწადი, თუ მეტი. შანშიევი წავიდა სოფლიდგან. ამის შემდეგ არ გაიარა ექსმა თთვემ, რომ როგორღაც ამხანაგობის წესდებამ ფერი იცვალა, მისი §-ბი ცოტა არ იყოს მოუძლურდა. გაიმართა გამგეობის მიერ შინაური, ქართული მეზობლური და ნათესაური სესხის გაცემა და სესხულობდნენ უფრო ისინი, ვინც ამხანაგობის გამგეობასთან დაახლოვებულები იყვნენ. ვისაც წესდების ძალით ოთხი თუმანი უნდა გაეტანა, იმან გაიტანა ოცი თუმანი და ამაზედ მეტიც. ვინც ცოტა შორს იდგა გამგეობაზე, ან ახლო მეგობრობა და ნაცნობობა არა ჰქონდა, ზოგმა თავისი ფული ძლივს გაიტანა, ზოგმა ნახევარი წაიღო მისი, რაც მიბარებული ჰქონდა ბანკისათვის, ხოლო მომეტებულნი-კი ცალიერები დარჩნენ. ბოლოს გამოვიდა ხმა, რომ ამხანაგობა, ბანკი გაუქმდაო, მაგრამ არაფერი ნამდვილი გამოცხადება ამხანაგობის გამგეობის მიერ ამ საგნის შესახებ არა ყოფილა-რა.

აგერ ცხრა წელიწადია მას უკან, რაც ამხანაგობამ თავისი დუქან-ბაზარი აალაგა, და აქამდე გამგეობა თავის მოვალეობად არა ჰრაცხს ანგარიში ჩააბაროს დამაარსებლებს ბანკისას. თუ ფული არ არის, გაცემულობის ვექსილები ხომ იქნება. სად არის ის ვექსილები, ან ვის ეკუთვნის? მე მგონია, რომ ის ვექსილები ყველა დამაარსებლისა უნდა იყოს და არა კერძოდ ვისმესი.

ეხლა როგორ ავხსნათ, ამ ამხანაგობას ჰქონდა თუ არა რამ დაფარული სენი, რომელმაც ნელ-ნელა ღრღნა და შემდეგ ბოლო მოუღო? საიდგანა სჩანს, რომ გლეხ-კაცობის მიერ ანუ ჩვენებურის სოფლისაგან ვერ იქმნა ბანკი შეთვისებულიო როდესაც ყველანი აღტაცებულნი იყვნენ: ბატონო, ეს რა ბედნიერება გვეწვია, ასე პირიანად სხვაგან სად ვიშოვით ფულსაო. ეხლა რამდენს ნანობენ; ამ გაჭირებულს წელიწადში აღარ იციან, საით წავიდნენ. ჯერ შოვნა არ არის, და თუ იშოვნიან, თუმანი თთვეში მანეთად ან ხუთ ჩაფ ღვინოდ უნდა იშოვონ. ასე რომ ერთ თუმანს სარგებელი მიაქვს რვა თთვის განმავლობაში თუმანზე მეტი. ამისთანა ყოფასა და სესხის შემდეგ ნუ თუ სოფლელის კაცისათვის შეუთვისებელი იყო ორ-შაურიანი სესხი? დიაღაც რომ არა, მაგრამ ვინ შეათვისა!

ავიღოთ თუნდა სოფლის პურის მაღაზიები, რომელიც ამ ამხანაგობის მაგვარია. განა ვინმე იტყვის, რომ შეუთვისებელია ეს საქმე გლეხ-კაცობისათვისაო. გაჭირებაში, როცა-კი იდროვებს სოფელი, საჭიროაო, მაშინ, მთავრობის ნება-დართვით, გახსნიან მაღაზიას და გაიმართებიან ყველანი პურით. მერე, ისევ მთავრობის ბრძანებით თვე, შეიტანენ ხოლმე. მე დარწმუნებული ვარ, თითონ მთავრობა რომ არა ჰყავდეს მზრუნველი და იმის ძალ-დატანებით არ შეჰქონდეთ პური, ერთ წელიწადს მთელი მაღაზიები სულ მოისპობოდა, ამიტომ რომ გლეხ-კაცები ისე მომზადებულნი არ არიან, რომ საზოგადო, საამხანაგო გარდასახადი ძალა-დაუტანებლივ გარდაიხადონ, თუნდ ამისი სარგებლობა ესმოდეთ და ჰხედავდნენ კიდეც. გაჭირებას გლეხ-კაცი რაკი მოიშორებს, ივიწყებს საზოგადოებასაც და პურის მაღაზიასაც. ამ შემთხვევაში, თუ ამბარდანიც გადავიდა თავის მოვალეობასა და გადუდგა თავის სულს, ვისაც უნდა მისცეს ერთი კოდი, იმას აძლევს ათსა და არც გაცემულის აკრეფაში დასდევს რასმე. რასაკვირველია, დამხობის მეტი ბოლო არა მოსდევს-რა ასეთს საქმის წარმოებას. ზემოხსენებულ ამხანაგობასაც ასე მოუვიდა.

საზოგადოდ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დამხობას ეხსნი პირველად იმით, რომ ცამეტ-თოთხმეტის წლის წინად მათი დაარსება სრულებით ადრე იყო. ხალხი, გლეხ კაცობა დღემდე იმისთანა გზას ადგია საზოგადო საქმეში, რომ მარტო თავისი კერძო ინტერესი, თავისი საკუთარი გამორჩომა აქვს აზრად და სხვას არას დასდევს. მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ სოფლებში მომზადებული მწარმოებლები საქმისა არ ჰყავდათ. მწარმოებლებს ხელში ეჭირათ დამტკიცებულ ამხანაგობის წესდება, რომლის ძალითაც არც მწვადი უნდა დაეწვათ და არც შამფური, ესე იგი, არც ხალხი დაეზარალებინათ და არც თითონ ამხანაგობა, და ამასთანავე ცირკულიარი მინისტრისა იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია მოვალეა აღმოუჩინოს ამხანაგობას შეიძლის დღის განმავლობაში შემწეობაო. თუ არა და, ამხანაგობას შეეძლო მიემართნა უმაღლეს მთავრობისათვის. მაგრამ არც ერთი ასეთი დიდი უფლება არ გამოიყენეს.

ამ გვარად ამისთანა საჭირო და დიდად სასარგებლო სოფლელ ხალხისათვის ამხანაგობა გასახარელად ვაჭარის ხალხისა მოისპო.

ბოდიშს ვიხდი, თუ ჩემი ნათქვამი ვისმეს საწყენად დარჩეს. გულით მინდა აღნიშნულის ამხანაგობის წევრთ არ ვაწყენინო. დღეს, როცა საზოგადოდ სჯა არის, რა ნაირი საკრედიტო დაწესებულება მოიგონონ სოფლელ ხალხისათვის, რათა ფესვი გაიდგას და ხალხმა კარგად შეითვისოს, ყოველი ნაკლი ჩემ მიერ ნახულის ამხანაგობისა უნდა გამოვსთქვა, რომ შემდეგისათვის, თუ როდისმე კიდევ გვეღირსება საკრედიტო დაწესებულება, იგი დაწესებულება იყოს ხალხისათვის სასარგებლო და შესაფერი. თუ ამ თვალით შევხედავთ ამ წერილს, არავისთვის კერძოდ ჩემს ნათქვამში საწყენი არა უნდა იყოს-რა.

X

---

# დეპეშები

3 მაისი

კენიგსბერგი. აქ მობრძანდნენ იმპერატორი და იმპერატრიცა გერმანიისა.

რეიხსტაგში იყო განხილვა სამხედრო კანონ-პროექტისა; გრაფმა მოლტკემ ილაპარაკა და სთქვა, რომ, თუმცა სამზღვარ-გარედ ამტკიცებენ, რომ მშვიდობის მოყვარეობას ვადგევართო, მაგრამ მაინც გერმანიისათვის უეჭველად საჭიროა იზრუნოს საკუთარის უვნებლობისათვისაო. „რაც უფრო მეტი სალაშქრო ღონე გვექმნებაო, სთქვა ფელდმარშალმა, და რაც უფრო უკეთ იქმნება იგი ღონე საომრად მომზადებული, მით უფრო მეტს სურვილს გამოიჩენენ მშვიდობიანობისას სხვა დიდნი სახელმწიფონიო. რიხტერმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ორის წლის ვადა უნდა დაწესდეს სამხედრო სამსახურისათვისაო; ვინდჰორსტმა ურჩია რეიხსტაგს, დავაწესოთ კომისია 28 კაცისა და მივანდოთ, ყოველ წლივ გადასწყვიტონ ხოლმე, რამდენი კაცი ირიცხებოდეს ჯარში მშვიდობიანობის დროსაო. სამხედრო მინისტრმა ვერდი-დიუ-ვერნუამ სთქვა, რომ მოკავშირე მთავრობანი ამზადებენ კანონ-პროექტს ჯარისა და მხედრობის მოწყობის შესახებ და რომ ამ ჟამად სამსახურის ვადის გამო არაფრის დათმობა არ შეიძლებაო. სჯა და ბაასი პარასკევისათვის იქმნა გადადებული.

## პეტერბურგის ბირჟა, 1 მაისი.

| | მყიდველნი ჰყა. | გამყიდველნი ჰყავდა. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ნახევარ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 05 |
| ტამოჟნის კუპონები . | — „ | „ | 141 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . | 224 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . | $214^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | 213 | — „ | $210^{1}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა უოკელ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

---

# განცხადებანი

ტფილისის სათავად - აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ოც-და-მეათე ტირაჟში, რომელიც მოხდა 30 აპრილს 1890 წლისას, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა:

ძველის კატეგორიისა

18 წ. და 7 თთვით

1 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 125, 31, 116, 36 და 81.

„ „ 1000 მან. ღირსებისა №№ 15 და 12.

$27^{1}/_{2}$ წლით.

2 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 127, 172, 100 და 115.

„ „ 500 „ „ №№ 13, 38, 16, 11 და 28.

„ „ 1000 „ „ №№ 98, 95, 190, 141, 10, 113, 126, 47, 195, 80, 92, 6, 149, 197, 186 და 90.

3 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 72, 88, 182, 48, 112, 83, 195 და 200.

„ „ 500 „ „ №№

116 და 94.
„ „ 1000 „ „ №№
39, 77 და 93.
4 „ 500 „ „ № 62.
6 „ 500 „ „ № 4.
„ „ 1000 „ „ № 45.
7 „ 100 „ „ №№
16, 52, 40, 38, 34, 51, 31, 37, 4, 44, 15, 1, 33, 6, 19, 20, 48, 3, 8, 43, 50, 41, 47 და 10.
10 „ 1000 „ „ № 77.
11 „ 1000 „ „ № 16.

43½ წ.

6 სერიისა 100 მან. ღირსებისა № 9.
7 „ 100 „ „ №№
171, 168 და 109.
8 „ 500 „ „ № 21.
9 „ 100 „ „ №№
181, 47 და 14.
11 „ 100 „ „ №№
94 და 207.

54½ წ.

2 „ 500 „ „ № 48.
„ „ 500 „ „ № 30.
5 „ 100 „ „ № 162.
„ „ 500 „ „ № 183.

ახალის კატეგორიისა

27½ წლით.

1 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№
25 და 207.
„ „ 500 „ „ № 37.
„ „ 1000 „ „ №№
17, 36, 192, 301 და 112.
2 „ 100 „ „ №№
149 და 239.
„ „ 500 „ „ № 31.
„ „ 1000 „ „ №№
163, 62, 814, 143, 335, 341, 285, 534, 876, 376, 444.
3 „ 1000 „ „ №№
144 და 83.
4 „ 100 „ „ №№
85, 122.
„ „ 500 „ „ № 38.
„ „ 1000 „ „ №№
91, 28 და 113.
5 „ 100 „ „ №№
74, 25 და 102.
„ „ 1000 „ „ №№
293, 304 და 45.
6 „ 500 „ „ № 1.
„ „ 1000 „ „ № 55.
7 „ 1000 „ „ №№
300, 85, 254 და 303.
8 „ 100 „ „ № 69.
„ „ 1000 „ „ № 44.
9 „ 100 „ „ № 51.
„ „ 1000 „ „ № 2.
10 „ 100 „ „ №№
17 და 15 „ „
„ „ 500 „ „ № 7.
11 „ 100 „ „ №№
30, 10 და 22.
„ „ 1000 „ „ №№
20, 54 და 275.
12 „ 100 „ „ № 41.
„ „ 1000 „ „ №№
68 და 191.
13 „ 1000 „ „ №№
10 და 37.
14 „ 100 „ „ №№
85 და 91.
„ „ 1000 „ „ № 2.
15 „ 1000 „ „ №№
224, 130 და 127.
16 „ 1000 „ „ №№
158 და 17.
17 „ 1000 „ „ №№
419, 37, 631, 230 და 3.
18 „ 100 „ „ №№
4, 324 და 56.
„ „ 500 „ „ №№
225 და 312.
„ „ 1000 „ „ №№
377, 19, 644, 638, 568 და 643.
19 „ 1000 „ „ №№
367, 269 და 292.

43½ წ.

1 „ 1000 „ „ №№ 41.
2 „ 100 „ „ №№
17, 8 და 30.
„ „ 500 „ „ № 13.
3 „ 100 „ „ №№
113, 45 და 17.
„ „ 500 „ „ № 13.
4 „ 100 „ „ №№
36, 56, 37 და 28.
„ „ 500 „ „ № 14.
5 „ 100 „ „ №№
102, 153 და 34.
„ „ 500 „ „ № 40.
6 „ 100 „ „ №№
48, 58, 54, 18 და 59.
7 „ 100 „ „ №№
19 და 66.
„ „ 500 „ „ № 17.
8 „ 1000 „ „ №№
209, 257 და 342.
„ „ 1000 „ „ №
251.
9 „ 100 „ „ №№
53, 35 და 24.
„ „ 500 „ „ № 4.
10 „ 100 „ „ №№
4, 2 და 15.
13 „ 100 „ „ №№
90, 17, 34 და 111.
14 „ 100 „ „ №№
5, 8 და 10.
15 „ 100 „ „ №№
23, 40 და 121.
16 „ 100 „ „ №№
22, 92 და 89.
17 „ 100 „ „ №№
4, 18 და 12.
18 „ 100 „ „ № 5.
„ „ 500 „ „ № 38.
19 „ 100 „ „ №№
13 და 35.

ამ ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელთა ფულის მიღება შეიძლება: ქ. ტფილისს ბანკის კასსაში, ს.-პეტერბურგსა და ვარშავში ბ-ნ ვაველბერგის საბანკო სახლის კანტორაში, მოსკოვს პოლიაკოვის კანტორაში და სახელმწიფო ბანკის ყველა კანტორასა და განყოფილებაში.

(1—1)

---


## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნას იხდიან.

(52—52)


---


გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.


---

„გორის დამზოგველ საზოგადოების“ წევრნი იწვევენ ყველას, ვისაცკი წილი აქვს შეტანილი ამ საზოგადოებაში სავაჭრო დუქნის საწარმოებლად, მობრძანდნენ 9 მაისს, დილის 10 საათზედ, ქალაქ გორში ზემოხსენებულის დუქნის გარემოების მოსასმენად.

(3—3)

---


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.


---


„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათის“

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ღომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.


---


„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მა ძმის მტერი, მოთხრობა წითლიძისა . . . . . | „ | 10 კ |
| უბის წიგნი, ვალ. გუნიასი 1890 წ. . . . . . . | „ | 40 |
| თვით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . . . | „ | 45 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . . . . | „ | 25 |
| წმინდა ნინო. . . . . . | „ | 2 |
| ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა . . . . | „ | 2 |
| ესთერი . . . . . . . | „ | 5 |
| დარიგება სამღრთო სჯულის სწავლებაზედ, დ. ღამბაშიძისა . . . . | „ | 30 |
| ბექანიანი. . . . . . . | „ | 15 |
| ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . . | „ | 25 |
| განკიცხული ა. მოჩხუბარიძისა . . . . . . | „ | 60 |


---


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 1 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакц газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებული იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ველარ მოსთხოვენ.

არა-ვითარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


---


## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улиц, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.


---


„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Дов ценз. Тифлисъ, 3-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე